# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

## დადგენილება №01-06-02/26

ქ. თბილისი 22 ივლისი 2020

**სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობებზე (მეცნიერი თანამშრომელი, ორი საშტატო ერთეული) კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/90 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

| თანამდებობა | საშტატო ერთეული | დამატებითი მოთხოვნები |
|---|---|---|
| ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება | | |
| მეცნიერი თანამშრომელი | 1 | მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს:<br>- სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები;<br><br>- ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა–ძიებების შესახებ;<br><br>- მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები. |

| | | |
|---|---|---|
| | | შენიშვნა: თუ პირს ადრე ეკავა სამეცნიერო თანამდებობა და ამჟამად კენჭს იყრის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მაშინ მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომი. |
| **კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტი გამგე მეცნიერი თანამშრომელი** | | |
| პუნქტი გამგე მეცნიერი თანამშრომელი | 1 | მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს:<br>- სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები;<br><br>- ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა–ძიებების შესახებ;<br><br>- მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.<br><br>შენიშვნა: თუ პირს ადრე ეკავა სამეცნიერო თანამდებობა და ამჟამად კენჭს იყრის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე, მაშინ მას გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომი. |

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**